მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა

მონუმენტურიხატწერის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2 აკადემიური და 19 მოწვეული პედაგოგით.

კრედიტების რაოდენობაა 252. საშუალოდ, თითო სემესტრში - 32 კრედიტი. თითო აკადემიური წელი მოიცავს მინიმუმ 6 0 კრედიტის დაძლევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

მოძღვრის რეკომენდაცია;

საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი;

ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.

შიდა გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში:

ხატვა;

ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი);

საქართველოს ისტორია (ზეპირი);

უცხო ენა (ტესტირება - ინგლისური ენა (A2), რუსული ენა (A2), გერმანული ენა (A2), ფრანგული ენა (A2) ან ახალი ბერძნული ენა (A2).

შიდა გამოცდების ქვედა ზღვარია 51 ქულა, ზედა ზღვარი - 100 ქულა.

მისაღები სტუდენტების რაოდენობაა არაუმეტეს 7-ისა.

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სალექციო, სასემინარო და შუალედური გამოცდებისათვის გამოყოფილი საათები, რომელიც მოიცავს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს: წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას,

დისკუსია/დებატებს; სემესტრული სემინარების/კოლოკვიუმების მომზადება-ჩაბარებას; შუალედურ შეფასებას, პრეზენტაციის მომზადებას, გამოფენის მომზადებას, სემესტრულ/დასკვნით გამოცდებს.

სტუდენტის სწავლის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც აერთიანებს შუალედური გამოცდების, კოლოკვიუმის, სემინარის, ლექციებზე დასწრებისა და დასკვნითი შეფასების ქულების საერთო ჯამს (სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება თუ სემესტრის განმავლობაში გამოცდამდე დასწრებაში და შუალედურ გამოცდაში ჯამურად დაგროვილი აქვს არნაკლები 21 ქულა). სასწავლო კურსი გულისხმობს პრაქტიკულ სწავლებასაც, რომელიც მოიცავს საზაფხულო არდადეგების პერიოდში ქრისტიანული შუასაუკუნეების კედლის მოხატულობის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებში სტუდენტთა ჩართულობას.

I კურსი მოიცავს 60 კრედიტს. ძირითადად დატვირთვა აქვს ჰუმანიტარულ საგნებს, რათა სტუდენტმა შეძლოს ზეპირმეტყველების და წერის კულტურის დახვეწა, შეიძინოს საბაზისო თეორიული ცოდნა, გაეცნოს და შეისწავლოს ქრისტიანული მოძღვრების შესავალი, შეისწავლოს საქართველოს ეკლესიის ისტორია და სილაბუსით დაგეგმილი ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშები. ასევე გამოიმუშავოს წმ.წერილის ტექსტობრივი დამუშავების უნარი, გაეცნოს მარტივ ფორმებს ხატვაში და შეისწავლოს ხატწერის ზოგადი კურსი.

II კურსი მოიცავს 65 კრედიტს. სტუდენტს ეძლევა საბაზო განათლება საღვთისმეტყველო დისციპლინებში და ეკლესიის ისტორიაში, რომლის მიზანიცა სტუდენტმა მიიღოს ინფორმაცია საეკლესიო სამართლის მეცნიერების შესახებ.ასევე სტუდენტი გაეცნობა ორნამენტის დანიშნულებას და ხატწერის მარტივ ფორმებს, შეიძენს ხატწერის ნიმუშების შესრულებისათვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს, გაეცნობა და შეისწავლის ორნამენტის აგების სტრუქტურას გრაფიკაში და შეძლებს ფერში ესკიზების მომზადებას.

III კურსი მოიცავს 61 კრედიტს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა წმინდა წერილის ტექსტის შესწავლასთან ერთად სილაბუსით გათვალისწინებული პროგრამის მიხედვით, შეისწავლოს ხატწერის იკონოგრაფია და ქრისტიანული სახვითი ხელოვნების ისტორია, სწავლის პროცესში სტუდენტი შეისწავლის ხატვისა და ხატწერის მარტივი ფორმების სინთეზს, წმინდათა სახეების გამოსახვის მარტივ ფორმებს - გრაფიკაში და მათი მოდელირებისათვი

ესკიზების მომზადებას ფერში და გაეცნობა მონუმეტტური ხტწერის კონსერვაცია - რესტავრაციის ზოგად კურსს და ამ დარგის საფუძვლებს.

IV კურსი მოიცავს 66 კრედიტს. სტუდენტი შეისწავლის მონუმენტური ხატწერის შესრულების ტექნიკას და და მისი კონსერვაცია - რესტავრაციის თანამედროვე მეთოდებს, ქვის რესტავრასიას, შეისწავლის ხატწერის რთული ფორმების სინთეზის პრინციპებს, დაეუფლება წმინდანთა გამოსახულების გრაფიკაში და ფერში შესრულების მეთოდებს, რომელიც დაფუძნებული იქნება მიღებულ თეორიულ ცოდნაზე და პრაქტიკული გამოცდილება კარგად გამოვლინდება სტუდენტისათვის მიცემული ამოცანის შესრულებისას. მიღებული ჩვევების საფუძველზე სტუდენტს შეეძლება ხატწერის ნიმუშებზე მუშაობისას, სწორად შეარჩიოს მასალები. გაეცნობა მონუმენტური ხატწერის ნიმუშებიდან ასლი - რეკონსტრუქციის შესრულების მეთოდებს.

მონუმენტურური ხატწერის რესტავრაციის პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი მიიღებს საბაზისო თეორიულ ცოდნას, როგორც თეოლოგიაში და ხატწერის საგნებში, ასევე მონუმენტური ხატწერის კონსერვაცია-რესტავრაციის მიმართულებით, რომელზეც დამოკიდებულია საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და გადარჩენა.

კურსდამთავრებულს შეძენილი აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების მეთოდები. ასევე სტუდრნტი შეძლებს მოამზადოს ნამუშევრები საპრეზენტაციოდ. სარესტავრაციო ძეგლზე შეაგროვოს წერილობითი და ფოტო-ვიდეო მასალები და ანალიზის შედეგად შეძლოს საკონსერვაციო- სარესტავრაციო მეთოდოლოგიის შედგენა და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს უნარები: ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა, კომუნიკაციისა (ქართულსა და რომელიმე უცხო ენაზე), დარგობრივი ლიტერატურის წაკითხვა-გააზრებისა. შეუძლია გააგრძელოს სწავლა მომდევნო სასწავლო საფეხურზე ან განაგრძოს დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა.

მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის საბაკალავრო პროგრამა

I სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ძველი აღთქმა I	2	3
2	ქრისტიანული მოძღვრების შესავალი I	2	3
3	ხატვის ზოგადი კურსი	6	7
4	საქართველოს ისტორია	4	5
5	უცხო ენა I	4	5
6	ძველი ქართული ლიტერატურა I	2	3
	ჯამი	20	26

II სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ძველი აღთქმა II	2	3
2	ქრისტიანული მოძღვრების შესავალი II	2	3
3	მარტივი ფორმები ხატვაში	6	7
4	საქართველოს ეკლესიის ისტორია	2	3
5	უცხო ენა II	4	5
6	ძველი ქართული ლიტერატურა II	2	3
7	ხატწერის ზოგადი კურსი	4	5
8	ლიტურგიკა	4	5
	ჯამი	26	34

III სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა I	2	3
2	ძველი აღთქმა III	2	3
3	ხატწერის შესავალი	6	8
4	ეკლესიის ისტორია	2	3
5	ხატწერის ტექნოლოგია I	4	5
6	რთული ფორმები ხატვაში I	6	7
7	ბიზანტიური მხატვრობის ისტორია	4	5
	ჯამი	26	34

IV სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა II	2	3
2	ძველი აღთქმა IV	2	3
3	ხატწერის მარტივი ფორმები	6	8
4	ხატწერის ტექნოლოგია II	4	5
5	რთული ფორმები ხატვაში II	6	7
6	ქართული შუა საუკუნეების მხატვრობის ისტორია (დაემატა საგანი)	4	5
	ჯამი	24	31

V სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა III	2	3
2	არქიტექტურის საფუძვლები	2	3
3	იკონოგრაფია I	4	5
4	ხატწერის მარტივი ფორმების სინთეზი	6	8
5	ბიოლოგია	2	3
6	აკადემიური წერა	2	3
7	არა ორგანული ქიმია	2	3
8	მონუმენტური ხატწერის კონსერვაცია-რესტავრაციის ზოგადი კურსი (იკონოგრაფიული გრაფიკა)	6	7
	ჯამი	24	35

VI სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა IV	2	3
2	იკონოგრაფია II	4	5
3	იკონოგრაფიული გრაფიკა და ხატწერის სინთეზი	6	8
4	ორგანული ქიმია	2	3
5	მონუმენტური ხატწერის კონსერვაცია- რესტავრაციის საფუძვლები	6	7
	ჯამი	20	26

VII სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა V	2	3
2	მონუმენტური ხატწერის ტექნიკა და კონსერვაცია - რესტავრაცია	6	7
3	ასლი - რეკონსტრუქცია მონუმენტური ხატწერის ნიმუშიდან	6	7
4	ხატწერის რთული ფორმები	6	8
5	ქვის რესტავრაცია	2	3
	ჯამი	22	28

VIII სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა VI	2	3
2	მონუმენტური ხატწერის რესტავრაცია	6	7
3	ხატწერის რთული ფორმების სინთეზი	6	8
4	საბაკალავრო ნაშრომი	6	20
	ჯამი	20	38

კრედიტების ჯამი : 252 კრედიტი